საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

**საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა**

**ოქმი**

თარიღი: 27 იანვარი, 2024 წელი
დრო: 17:00 - 19:00
შეხვედრის ადგილი: Zoom

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. ნინო ჩხობაძე (პლატფორმის თანათავმჯდომარე) - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
2. ნინო ელიზბარაშვილი (საბჭოს წევრი) - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი;
3. ზვიად ელიზიანი (საბჭოს წევრი) - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი;
4. რეზო გეთიაშვილი (საბჭოს წევრი) - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი;
5. ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს წევრი) - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“;
6. ნუკრი ყველაშვილი (საბჭოს წევრი) - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა;
7. მაკა ჯახუა (საბჭოს წევრი) - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“;
8. ირინა ფუტკარაძე (საბჭოს წევრი) - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი.
9. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი;

**რეგისტრაციის შედეგად საკოორდინაციო საბჭოს 12 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 8.**

**საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების 10.3 მუხლის თანახმად საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი ესწრება.**

**სხდომას უძღვებოდა:** საქართველოს ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები).

## დღის წესრიგი

1. ფორუმის მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ ინფორმაციის მიღება
2. წესდების მონიტორინგის ჯგუფის შექმნა
3. საბჭოს შეხვედრების ფორმატი
4. 29 ინვარს დაგეგმილი შეხვედრა პარლამენტში

### 1. ფორუმის მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ ინფორმაცია

**მოისმინეს:**
**ნინო ელიზბარაშვილის** (მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფორუმის მმართველი კომიტეტის წევრეი)ინფორმაცია, სადაც მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, გაუზიარა მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ ინფორმაცია. მმართველმა კომიტეტმა იმსჯელა ფორუმის დელეგატების არჩევის საკითხზე, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია გაზიარდება ეროვნულ პლატფორმებთან, უახლოეს მომავალში, ასევე მოისმინეს ეროვნნული პლატფორმების საქმიანობის ანგარიშები და იმსჯელეს ფორუმის სამომავლო მუშაობაზე.

### 2. წესდების სამუშაო ჯგუფის შექმნა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს ვახტანგ ზარქუას წერილი, რომელიც საბჭოს მიერ წესდების მონიმტორინგის ჯგუფის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას შეეხებიდა.

**გამოითქვა მოსაზრებები:**
**ნუგზარ კოხრეიძე** - (მესამე ჯგუფის კოორდინატორი) – მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მის მოთხოვნაზე დათანხმება. დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ საბჭომ ამ პროცესში არ მიიღოს მონაწილეობა. შესაძლებელია წერილობით მივწეროთ პლატფორმის წევრებს, რომ დაკომპლექტდეს და შემუშავდეს დებულება ჯგუფის მუშაობის შესახებ.

**რეზო გეთიაშვილი** - (მესამე ჯგუფის კოორდინატორი) - სპეციფიკური ვითარების გათვალისწინებით, საბჭოს სთავაზობს, რომ წესდებაზე მუშობის პროცესი იყოს გახსნილი

ყველა დაინტერესებული მხარისთვის და მასზე მუშობა არ შეიზღუდოს მხოლოდ პლატფორმის წევრების ჩართულობით. პროცესში ჩართულობა მოიზრება მოსაზრებების გაზიარებისა და შეთავაზებებით. ამ შემთხვევაში საბჭოც იღებს ვალდებულებას, რომ სამუსო პროცესებზე ინფორმირება მოახდინოს ჯგუფში ჩართულ ყველა მონაწილის.

**ნინო ელიზბარაშვილი** - (მეორე სამუშო ჯგუფის კოორდინატორი) - იდეა რომელიც მიზნად ისახავს გამჭვირვალობის სტანდარტის გაძლიერებას, არის ძალიან მნიშვნელოვანი. იგი მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ინფორმაცია წესდების ჯგუფის შექმნისა და მუშობის შესახებ გავრცელდეს და განთავსდეს პლატფორმის ვებ-გვერდზე და ამავე განცხადებაში შევთავაზოთ ყველას, მიიღონ პროცესში მონაწილეობა და გამოხატონ ჩართულობის სურვილი.

**დადგინდა:**
სამუშაო ჯგუფები იკრიბებიან მომდევნო კვირაში და წარმოადგენენ წესდებაზე სამუშო ჯგუფისთვის თავიანთ კანდიდატურებს. თითო ჯგუფიდან 3 წევრის ჩართულობით. სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს საკოორდინაციო საბჭო მოიწვევს საბჭოს შეხვედრაზე, რომელზეც სთხოვს მათ, რომ მაქსიმალურად ფორსირებულად შეიმუშაონ დებულება წესდების ჯგუფის მუშაობის შესახებ. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეს პროცესი და მასში ჩართულობა იქნება ღია და საჯარო.

3. **საბჭოს შეხვედრების ფორმატი**

საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ, მიმართა საბჭოს წევრებს, რამდენად შესაძლებელია საბჭოს შეხვედრების გადაცემა პლატფორმის სოციალური მედიის საშუალებით, პირდაპირი ეთერის ფორმატით.

მოსაზრებები დააფიქსირე:
**რეზო გეთიაშვილი:** იდეა საჯაროობის არის კარგი, თუმცა ბევრ რისკს უკავშირდება. რამდენად არის რესურს სამდივნო გაუმკლავდეს ტორლების/ბოტების შემოტევას. ეს საკითხი გავლილი უნდა იყოს სპეციალისტებთანაც.

**ნინო ელიზბარაშვილი:** ამ ეტაპზე უმჯობესია პლატფორმის წევრების ჩართულობით შემოიფარგლოს პლატფორმა.

**ქეთევან ჭურაძე:** კოალიციის წევრების ჩართულობის უზრუნველყოფა საკოორდინაციო საბჭოს დაგეგმილ შეხვედრებში მოგვცემს გამჭვირვალობის მაღალ ხარისხს პლატფორმის წევრებთან მიმართებით, თუმცა შეხვედრების პირდაპირი ტრანსლირების შესახებ მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ის ფაქტი, რომ პლატფორმის სამდივნოს არ ყავს ტექნიკური პერსონალი, რომელიც იმუშავებს პირდაპირი ეთერის ტექნიკურ უზრუნველყოფასა და სხვადასხვა ინტერნეტ საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა იყოს გამოწვეული პირდაპირი ტრანსლირების პროცესით.

**ნუკრი ყველაშვილი:** მიიჩნევს, რომ პირდაპირი ეთერის საკითხი ბევრ რისკებს მოიაზრებს, რადგან პლატფორმა სამუშაო პროცესში ხშირად მსჯელობს ისეთ საორგანიზაციო საკითხებზე, რომლის გასაჯაროება, პირდაპირი ეთერი საშუალებით, შესაძლოა პროცესებისთვის იყოს დამაზიანებელი.

**დადგინდა:**
საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კონსულტაციების გავლა. პირველ ეტაპზე, პლატფორმის სამდივნო უზრუნველყოფს პლატფორმის წევრების წინასწარ ინფორმირებას საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრებთან დაკავშირებით და შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება ყველ მსურველის დასწრება. მეორე ეტაპზე, როდესაც ინსტიტუციურად იქნება გამართული სისტემა, თავიდან განვიხილოთ პირდაპირი ტრანსლირების საკითხი.

4. **29 ინვარს დაგეგმილი შეხვედრა პარლამენტში**

საბჭოს შეხვედრაზე, მოწვეული იყო ლიბერალური აკადემია თბილისის დირექტორი - ლაშა ტუღუში. თანათავმჯდომარის განმარტებით, იგი უშუალოდ მუშაობს 9 პირობის შესრულების მიმართულებით და მას მომხადებული აქვს კონკრეტული წინადადებები, შესაბამისად უახრესად მნიშვნელოვანია მისი ჩართულობა, რადგან პლატფორმა სამუშო პროცესში წარმოდგენილი უნდა იყოს კონკრეტული ინიციატივებითა და მომზადებული წინადადებებით ყველა საკითხთან დაკავშირებით.

საკოორდინაციო საბჭოს თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ, ინფორმაცია მიაწოდა 29 იანვარს პარლამენტში დაგეგმილ სეხვედრასთან გაკავშირებით, რომელიც 9 პირობის შესრულების პროცესს უკავშირდება. ეროვნული პლატფორმა მიწვეულია სამუშაო შეხვედრაზე, რომელშიც ასევე მონაწილეობას მიიღებენ საპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიც. დეტალური დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია არ გაზიარებულა, მხოლოდ ცნობილია, რომ 9 პირობის შესრულების პროცესი იქნება განხილული ყველა პირობასთან მიმართებით.

მოსაზრებები დააფიქსირე:
**ლაშა ტუღუში** - 9 პირობის სესრულების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, ლიბერალურ აკადემიას, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მომზადებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც უკავშირდება 9 პირობიდან 4-ს და მასში გათვალისწინებულია ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. ავტორები გამოთქვამენ მზაობას პლატფორმის წევრებთან შეხვედრის ფორმატში ჩატარდეს მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა. იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია პარლამენტმა განიხილოს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დარეგისტრირებული წინადადებები.

**ირინა ფუტკარაძე** - საპარლამენტო მდივნის ერთ-ერთი ფუნქცია იქნება ის, რომ უზრუნველყოფილი იქნება წევრების ინფორმირება ყველა დაგეგმილ ფორმატთან დაკავშირებით და ამ პროცესში კოალიციის ჩართულობასთან დაკავშირებით.

**ნინო ჩხობაძე** - შეხვედრაში მონაწილეობის პროცესში, პლატფორმამ უნდა დააფიქსიროს პოზიცია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა არ უნდა იყოს ლიმიტირებული მხოლოდ ეროვნული პლატფორმის მონაწილეობით.

**დადგინდა:**
9 პირობის შესრულების ნაწილში დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებით, თანათავმჯდომარე შეეცდემა მეტი დამატებითი ინფორმაციის მიღებას პარლამენტის მხრიდან. შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს სამუშაო ჯგუფების აუცილებლობასა და ჩვენი სახელით დარეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის აუცილებლობაზე.

შეხვედრა დასრულებულად გამოცხადდა.

**სხდომის თავმჯდომარე:**
ნინო ჩხობაძე
პლატფორმის თანათავმჯდომარე ( საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები).

**სხდომის მდივანი:**

ქეთევან ჭურაძე